

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
სხდომა №2

თბილისი

17 აპრილი, 2010

ოქმი №2

სხდომას ესწრებოდნენ:

ეკა ზარნაძე (სამართლის ფაკულტეტი);
თამარ ჩიტოშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
გია თოფურია (ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
ნოდარ სამხარაძე (ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
ამალია არუთინოვა (ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
თეიმურაზ თალაკვაძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
ლამარა ჩაბაშვილი (ბიბლიოთეკარი).
ელისო ნიკურაძე (სამართლის ფაკულტეტი);
ვიქტორია მიძიკაშვილი (ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
გვანცა ტატუაშვილი (ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
სალომე დონდოლაძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი).

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი გია თოფურია
სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი ამალია არუთინოვა

დღის წესრიგი:

თქუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამდებობაზე თქუ აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი კანდიდატურის დამტკიცების თაობაზე. (მომხ. გ. თოფურია)

მოისმინეს: პროფესორ გია თოფურიას ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 17 აპრილს, გაიმართა თქუ აკადემიური საბჭოს სხდომა (№6/2010), რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და თქუ დებულების შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე განიხილა ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის მაკა კაჭარავას კანდიდატურა. მომხსენებელმა სენატის წევრებს წარმოუდგინა დასამტკიცებლად თქუ აკადემიური საბჭოზე განხილული კანდიდატურა აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად და წევრებს გააცნო მ. კაჭარავას ავტობიოგრაფია

აზრი გამოთქვეს: ლამარა ჩაბაშვილმა, თამარ ჩიტოშვილმა

გადაწყვეტეს:

1. დამტკიცდეს თქუ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 აპრილის №6/2010 გადაწყვეტილების შესაბამისად, თქუ ხარისხის უზრუნველყოფის უფროსის თანამდებობაზე ასოცირებული პროფესორი მაკა კაჭარავა კანდიდატურა.
2. ეთხოვოს თქუ რექტორის აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა

სენატის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი:

სხდომის მდივანი:

გ. თოფურია

ა. არუთინოვა

